



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 604/ი

11 07 2019წ.

ქ. თბილისი

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისთვის“ „კედლებისა და ტიხრების წყობის“ პროფესიული მომზადების პროგრამის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის 2019 წლის 10 ივლისის №934160 სამსახურებრივი ბარათისა და ცენტრის დირექტორის 2019 წლის 21 ივნისის №512/ი ბრძანებით პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დადასტურების პროცესში გამოვლენილი პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით შექმნილი კომისიის 2019 წლის 08 ივლისის №2 ოქმის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-8 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

გბრძანებ:

1. უარი ეთქვას სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „აისის“ მის მიერ წარმოდგენილ „კედლებისა და ტიხრების წყობის“ პროფესიული მომზადების პროგრამის დადასტურებაზე.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

თამარ მახარაშვილი